

# ბიზნეს სუბიექტები... 2016 (12)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2016 წლის დეკემბრის თვეში ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 3 726 ერთეული შეადგინა, რომელთა შორის 95.1% სამეწარმეო სუბიექტია (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი, უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი), ხოლო 4.9% - არასამეწარმეო სუბიექტი (არასამეწარმეო იურიდიული პირი, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი). ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) 0.851 დონეზე დაფიქსირდა.

2016 წლის დეკემბრის თვეში დაფიქსირდა კლება როგორც წინა თვესთან (11.2%-ით), ასევე, წინა წლის იმავე თვესთან (11.3%-ით) შედარებით.

2016 წლის დეკემბრის თვეში წინა თვესთან შედარებით სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 11.4%-ით, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 8.1%-ით შემცირდა. განსხვავებული ტენდენცია დაფიქსირდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით: სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 13.0%-ით შემცირდა, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 42.2%-ით გაიზარდა.

ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით შესაბამისად 0.834 და 1.433 დონეებზე დაფიქსირდა.

2016 წლის დეკემბრის თვეში ბიზნეს სუბიექტთა უმეტესობა დარეგისტრირდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (1 856 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 49.8%) და ინდივიდუალური მეწარმის (1 656 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 44.4%) სახით. როგორც ჩანს, ბიზნეს სუბიექტთა 94.3% მხოლოდ აღნიშნულ სამართლებრივ სტატუსებს ანიჭებს უპირატესობას. ამავე თვეში ქვეყანაში დარეგისტრირდა: 182 არასამეწარმეო იურიდიული პირი, 13 უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, 11 კოოპერატივი და 8 სააქციო საზოგადოება.

2016 წლის დეკემბრის თვეში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით გამოიყო ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული და გამოვლინდა აღნიშნული მონაცემების ზრდა/კლების ტენდენცია წინა თვესთან და წინა წლის იმავე თვესთან შედარებით.

## P.S. დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა... დეკემბერი, 2015-2016

(ბ) ცხრილი - რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული... დეკემბერი, 2016

(გ) გრაფიკი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო  
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**(ა) ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა  
დეკემბერი, 2015-2016**

ინდიკატორები	ზ.ე.	დეკემბერი	
		2015	2016
<b>რაოდენობა</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	4075	3544
არასამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	128	182
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	ერთეული	4203	3726
<b>სტრუქტურა</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	97.0	95.1
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	3.0	4.9
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	100	100
<b>ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	16.4	-11.4
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	28.0	-8.1
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	16.8	-11.2
<b>ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	5.8	-13.0
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-17.9	42.2
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	4.8	-11.3
<b>ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.959	0.834
არასამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	1.008	1.433
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	კოეფიციენტი	0.960	0.851
<b>რაოდენობა</b>			
ინდივიდუალური მეწარმე	ერთეული	2252	1656
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	0	0
კოოპერატივი	ერთეული	65	11
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1739	1856
სააქციო საზოგადოება	ერთეული	7	8
კომანდიტური საზოგადოება	ერთეული	0	0
უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	12	13
არასამეწარმეო იურიდიული პირი	ერთეული	127	182
უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	0	0
საჯარო სამართლის იურიდიული პირი	ერთეული	1	0

(ბ) რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული. დეკემბერი, 2016

#	ტერიტორიული ერთეული	რაოდენობა	პროცენტი	
		დეკემბერი 2016	დეკემბერი 2015	ნომბერი 2016
1	თბილისი	1665	1.4	-9.3
2	ბათუმი	252	7.7	0.4
3	ქუთაისი	169	-21.8	-10.1
4	რუსთავი	121	12.0	-8.3
5	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	93	9.4	-36.7
6	მარნეულის მუნიციპალიტეტი	85	-9.6	-9.6
7	თვითმმართველი ქალაქი გორის მუნიციპალიტეტი	49	6.5	-9.3
8	თვითმმართველი ქალაქი ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	49	-14.0	40.0
9	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	48	2.1	-21.3
10	საჩხერის მუნიციპალიტეტი	48	50.0	2.1

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2017

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016

ახალი ბიზნეს სუბიექტები (ერთეული)

